

მირი ჯინჯიაშვილი

ეჭინიან თუ ეშინია? ურჩივნიან თუ ურჩივნია?
ჰქვიან თუ ჰქვია?

თანამედროვე ქართულში ჰშია, სწადია, ეშინია, სცალია, უხალია, უხარია (გაგიხარია), ბრცხვენია, ჰგონია, სხობია, შეუძლია, ურჩევნია, ჰქვია ზმნები სწერია, ჰკიდია ტიპის სტატიკურ ზმნებთანაა გათანაბრებული და -ია დაბოლოება აქვთ.

მაგრამ არც ისე იშვიათად თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში, ზოგჯერ უურნალ-გაზეთებსა და სამეცნიერო ლიტერატურაშიც კი ამ ზმნებში თავს იხენს -იან დაბოლოება: ჰშიან, სწადიან, სცალიან, ურჩევნიან, სხობიან, ჰქვიან...

ისმის სკითხი, რა მიმართებაა ამ -ია და -იან დაბოლოებებს შორის.

ეს -იან დაბოლოება ჰქონდა ზემოთ დასახელებულ ზმნებს XII—XIX საუკუნეების ქართულ სალიტერატურო ენაში; ამასთან, რაც უფრო აღრეული ხანის ტექსტებს განვიხილავთ, მით უფრო მყარი აღმოჩნდება -ნ დაბოლოება ამ ზმნებში.

კერძოდ, ამ ზმნათა ნარიანი ფორმებია გავრცელებული „ამირან-დარეგანიანში“, „ვეფხისტყაოსანში“¹, „თამარიანში“, „ვისრამიანში“, „რუსულდანიანში“, საიათნოვას, დ. გურამიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის და გრ. ორბელიანის ენაში.

მაგალითები:

იგივე გაპერის, სიშორე არა თუ ნებით სწალიან (ვეფხისტყაოსანი, 1570).
მე შინიან, თუცა შიშსა მოციქული არ დაპრიდობს (იქვე, 754).

რათვან მერჩიო, ნუ მერცხვი, გაე, რასაღა გრცხვენიან (იქვე, 1531).

თუ ჩემი მოსწრავება გწალიან, ნუღარ დაიყოვნებ წამისაცა (ვისრამიანი).
... ლომსა ვითა ჩუქრითა სისხლთათვს სწყურიან... (იქვე).

¹ ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსანში“ -იან დაბოლოებიანი ზმნები შეიცვალა გამოყენებული სარითმო ერთეულად, უდავოს ხდის ნარიან ფორმათა არსებობას ვეტორის ენაში.

არცა ო ც ხ უ ე ნ ი ა ნ კაცთაგან და ორცა ე შ ი ნ ი ა ნ ღმრთისაგან (იქვე).
განა არა გ წ ა დ ი ა ნ თ მისი ომით (ამირანდარეჭანიანი).
დღეს ალპ მ ც ა ლ ი ა ნ... (რუსულანიანი).

მოწყენით არიან, არავის ს ც ა ლ ი ა ნ ჩევნს საქორწილოდ (დ. გურამ.).
გლახილთა და ულონოთა შიან (საბა).

არავისთვის მე დღეს არ მ ც ა ლ ი ა ნ... (გრ. ორბ.).

რა მ ი ხ ა რ ი ა ნ, რა მინდა? (გრ. ორბ.).

... ე შ ი ნ ი ა ნ, იქრძალვის, არღა იცის... (ნ. ბარათ.).

კიდეც ამისთვის არა მ ც ა ლ ი ა ნ... (ნ. ბარათ.).

ამ ტიპის ზმნათა უნარო ფორმები იმავე ტექსტებში სახებარია.

დასახელებულ ზმნათა ნარიანი ფორმებივე იყო გაბატონებული
XIX საუკუნის სალიტერატურო ქართულში. ნარიანი ფორმები უხვად
გვხვდება ილიას, ვაჟას, ა. ყაზბეგის, ნ. ლომოურის, ა. ფურცელის,
ს. მგალობლიშვილის, ეკ. გაბაშვილის, რ. ერისთავის, დ. მაჩხანელის,
ა. ევდოშვილის, შ. არაგვისისირელის ნაწერებში.

მაგალითები:

შეგიძლიან წაბრძანდეთ (ილია).

გიხარიან თ განა? (ილია).

... ხელის შეშლა ს წ ა დ ი ა ნ ნ (ვაჟა).

— მე შინიან, მე შინიანი... მომდევენ... (ა. ყაზბ.).

ცოტა არ იყოს ს ც ხ ვ ე ნ ი ა ნ... (რ. ერისთ.).

და გულს შენი ნახვა ს წ ყ უ რ ი ა ნ, ს წ ყ უ რ ი ა ნ (დ. მაჩხ.).

მყადარ ქერძებს და გული მხარული, ის არ უ რ ჩ ე ვ ნ ი ა ნ? (ეკ. გაბ.).

ისევ ქმრის ხელში იყო, ის გი რჩე ე ვ ნ ი ა ნ (ეკ. გაბ.).

რით მ ჯ ო ბ ი ა ნ მე ეგა? (ნ. ლომ.).

ევროპიულ ადამი ჩევნი მამაპაპური სტუმართმოყვარეობა ს ჭ ო ბ ი ა ნ
(ნ. ლომ.).

ასე ს ჭ ო ბ ი ა ნ (ს. მგალ.).

ფული არ მირჩევ ნ ი ა ნ წილიან-წირპლიან კაცებსა? (ს. მგალ.).

ჰაი! გაგიხარიან, წვიმიან წელიწადში აქ ძნები გადიჭიმება ხოლმე
(ს. მგალ.).

ჰაი, ჰაი! გაგიხარიან, მე იმას მისხია (ს. მგალ.).

გაგიხარიან თ, მე თქვენ კუდით ქვას გასროლებდით (ვაჟა).

ამ ზმნათა უნარო ფორმები იმავე ავტორთა ნაწერებში იშვიათად
გვხვდება.

როგორც ცნობილია, ამ ზმნათა ნარიანი ფორმები დღეს ქართ-
ლურ-კახურს², მოხეურსა და ფშაურს ახასიათებს. ამ მხრით ამ დია-
ლექტებში დაცულია ის ვითარება, რაც იყო XII—XIX საუკუნეების
სალიტერატურო ქართულ ენაში. დასავლური დიალექტებისათვის ამ

² ვ. თო ფ უ რ ი ა ნ, ქართლური. არილი, 1925, გვ. 143; ა. რ. მ ა რ ტ ი რ ი ს ო-
ვ ი, გ. რ. ი მ ნ ა მ შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956,
გვ. 93.

ზმნათა ნარიანი ფორმები უცხოა. მაგრამ ილიას თანამედროვე იმ მწერალთა ნაწერებში, რომლებიც დასავლეთ საქართველოდან იყვნენ გამოსული, ნარიანი ფორმები ჩვეულებრივია³. კერძოდ ამ ფორმებს უცვდებით დ. კლდიაშვილის, გ. წერეთლისა და ე. ნინოშვილის ნაწერებში:

... გულით სწადიანთ ოჯახს მოეკიდონ (დ. კლდ.).

გვაჭიმე რამე, გვშიანნო (გ. წერ.).

... და მარც ჩვენი ეშინიანთ (ე. ნინოშ.).

სწორედ ამ დასავლური დიალექტური წრიდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში იჩენს ჭარბად თავს XIX საუკუნეში ამ ზმნათა უნარო ფორმები.

თუ ილიას, ვაჟას, ალ. ყაზბეგის, რ. ერისთავისა და ხალხოსნების ენაში ძალიან იშვიათად გვცვდება უნარო ფორმები, დ. კლდიაშვილის, გ. წერეთლისა და ე. ნინოშვილის ნაწერებში უნარო ფორმები გაცვლებით სჭირდობს ნარიანს, ა. წერეთლის ნაწერებში ნარიანი ფორმები არ გვცვდება.

XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში საერთოდ მნიშვნელოვნად იცლებს ნარიანი დაბოლოების შემთხვევები ამ ზმნებში. ნარიანი ფორმები მხოლოდ იღმოსავლური დიალექტური წრიდან გამოსული მწერლების ნაწერებშილა თუ შეგვხვდება.

ნარიან ფორმებს ხმარობენ მწერლები: მ. ჯავახიშვილი, ს. შანშიაშვილი, ო. ჩხეიძე, გ. ლეონიძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი; ორიოდე მაგალითი დასტურდება გ. შატბერაშვილის, მ. მრევლიშვილისა და ს. იორამაშვილის ნაწერებშიც.

მაგალითები:

ყაშას ღიმილს გველს შხამიც კი სკობიან (მ. ჯავახ.).

რა გწვიან? (მ. ჯავახ.).

ხმა ამოილე, რისა გრცხვენიან (მ. ჯავახ.).

ჩემი რათ გეშინიან? (მ. ჯავახ.).

ყველს შეუძლიან იმისი დაბრიყვება (მ. ჯავახ.).

... მარც ისა, რომ მშიან... მშიან და მწყურიან (მ. ჯავახ.).

მე თქვენი დაჭრილებისთვის და მკვდრებისთვის არა მცილიან (მ. ჯავახ.).

რად გწყურიან სისხლი? (ს. შანშ.).

... თუ ილლაპის არ გეშიან, ხალხის გეშინოდეს (ს. შანშ.).

მრცხვენიან ჩემი წალსულის (ს. შანშ.).

ოქვენ ჩემი შეელა არ შეგიძლიანთ, არა (ს. შანშ.).

პური მშიან... (ს. შანშ.).

რეზომ არ იცოდა ახლა, რა სკობიან (ო. ჩხ.).

³ შეიძლება ეს ფაქტი რედაქტორის ჩარევის შედეგი იყოს, მაგრამ ყველაფერს ჩატარებული ვერ გაასწორებდა.

შშეიდად ლაპარაკი არ შეუძლიან (ო. ჩხ.).

ჩვენ გვიხარიან (ო. ჩხ.).

მე სიძნელე მის ჩეცნიან (ო. ჩხ.).

ეგრე იყოს, აგრე სჭობიან (ო. ჩხ.).

როგორც ჩანს, არა გცილიან... (ო. ჩხ.).

რა ვქნა, ძმაო, არ შემიძლიან (ლ. მრელ.).

ვისა სცალიან სახტუნაოდ... (ლ. მრელ.).

ნუ გე შინიან, შალიკო... (ლ. მრელ.).

ძილი კი, გაგიხარიან, კარგი იცის მთამა (ლ. მრელ.).

— არა მშეურიან.

— კარგი, ნუ გწყურიან, მე დავლევ (ლ. მრელ.).

მე ძანძახისა არ მე შინიან! (გ. ლეონ.).

... ღვინისათვის სად მცილიანორ! (გ. ლეონ.).

... მეტი აღარ შემიძლიანო (გ. ლეონ.).

ვაჟაცას თუ ემთქნარებიან, ან ვშიან, ანა სწყურიან (გ. ლეონ.).

განა მე პური მქვიან, თქვე გასაშევეტებო (გ. ლეონ.).

არა გრცევენიან, რომ ამ მიწაზე დაღიხირ? (გ. ლეონ.).

„მე შინიან“, თქვა ნინომ... (გ. შატბ.).

„მე შინიან“, თქვა ნინომ... (გ. შატბ.).

შენ რა გქვიან, ბიჭიკო? (ხ. იორამ.).

რას მიქვიანო შენი გეგა (ზხ. მრელ.).

გაგიხარიან, ახლა კი კალრულობდნენ მენახარები თავმდაბალ სალაში! (ლ. მრელ.).

ნარიანი ფორმები ამ ზმნებისა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ჟურნალ-გაზეთებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში:

— არა, ბებო, ხელებს არ დაგწვავს, ნუ გე შინიან („დროშა“).

შენ ხომ მოლენა კაცი ხარ, რისა გე შინიან („დროშა“).

... მას შეუძლიან დაეკრილ კარში გაიაროს („დროშა“).

ხალხს თავისი საყვარელი გუნდის დამარცხება უხარიან („დროშა“).

იმასაც იცნობდა ლევანი, უერმანო ჰქვიანონ („დროშა“).

საიათონოებთან „შემკობად“ ვისლა სცალიან („მაცნე“).

სოციალურ მოტივზე შექმნილი ლექსებიდან ყურადღებას იძყრობს „Горхарам“ (გ. შინიან) („მაცნე“).

ძმისგამო საზოან საუბრის მე შინიან („მაცნე“).

... მე ყაფაზის მე შინიან („მაცნე“).

გადაკვრით ისიც არის ნათქვამი, თუ როგორ ეშინიან სანდროს იმ წეოთა... („ლიტ. საქ.“).

შიში რას მიქვიან („მნათობი“).

ისე მიხარიან, თითქოს ნამდვილი იყოს („ცისკარი“).

რა გქვიან, გოგონა? („სოფლის ცხოვრება“).

არც კი რცხვენიან, მახელა ვირგლა კაცია... („ცისკარი“).

არც კი რცხვენიან, მისი მამის ტოლი კაცია („ცისკარი“).

ამ ქვეყანაზე მე არაფრის მე შინიან („საბჭ. სამართ.“).

6. ლორთქითანიძის, ქ. გამსახურდიას, გ. ტაბიძის, ლ. ქიაჩელის, ქ. ლორთქითანიძის, დ. შენგელაის, რ. ჩხეიძის, ო. იოსელიანის, ნ. დუმბაძის ნაწერებში ნარიანი ფორმები არ დასტურდება.

ამრიგად, ნ-ს დაკარგვის ტენდენცია ამ ზმნებში სალიტერატურო ქართულში XIX საუკუნეში იჩენს თავს, XX საუკუნეში კი სალიტერატურო ენაში მთლიანად უნარო ფორმები გაბატონდა.

ამ ტენდენციისათვის ანგარიშის გაწევის შედეგი ჩანს ის ფაქტი, რომ ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხების მომწესრიგებელ კომისიას ჯერ კიდევ 1920—1921 წლებში სწორ, ლიტერატურულ ფორმებად მიუჩნევია მშია, მწყურია, უარუვია მშიან, მწყურიან ფორმები, თუმცა სალიტერატურო ენაში მქვიან, გქვია... და მქვია, გქვია... პარალელურ ფორმებად დაუტოვებია⁴.

ამ ზმნების მართლწერის ეხებოდა ს. ხუნდაძე და ასკენიძა: როგორც მრცხვენია, მშიანია, მშია, მწყურია, ასევე შქვია ზმნაც უნაროდ უნდა ვიხმაროთ, რადგან „უნარო ფორმა ცოცხალ ენაში... უფრო ხშარია, ვიდრე ნ-არიანი და, ვისაც სწამს პრინციპი ენის გამარტივებისა და გაეთილებმოვნებისა, მათ უნარო ფორმები უნდა ირჩიონო...“⁵

დღეს ეს საკითხი სადავო აღარ არის. მშია, მწყურია ტიპის ზმნათა უნარო ფორმები ითვლება ერთადერთ ლიტერატურულ ფორმებად. ამიტომ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც და ორთოგრაფიულ ლექსიკონებშიც⁶ სწორ, ლიტერატურულ ფორმებია ამ ზმნათა უნარო ფორმებია შეტანილი: შია, სწყურია, სწადია, ეშინია, სცალია, უხარია, რცხვენია, პგონია, სჯობია, შეუძლია და ჰქვია. ნარიანი ფორმები კი ქართლურ-კახურსა და ფშაურ-მოხეურ დიალექტებში შემოგვრჩა.

თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურასა და უურნალ-გაზეთების ენაში აღმოსავლურ დიალექტურ გარემოსთან დაკავშირებულ მწერლებსათვის შემოაქვთ აქა-იქ ნარიანი ფორმები.

რა წარმოშობისაა ეს -იან ან -ნ სუფიქსი?

თუ ნარის დაკარგვის ფაქტს გავთვალისწინებთ, -იან სუფიქსი ასე უნდა დაიშალოს: -ი (აწყოს მაწარმოებელი) + -ა- (რაც რჩება -ნ-ს დაკარგვის შემდეგ) + -ნ. მაგრამ ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ ასეთი დაშლა ისტორიულად გაუმართლებელია. -ა-ს თუ სუბიექტის ნიშნად მივიჩნევთ, რალა -ნ? -ნ-ც მხოლოდ სუბიექტის ნიშანი შეიძლება.

4 სალიტერატურო ქართულისათვის (პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად), თბილისი, 1921, გვ. 35.

5 ს. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები, ქუთაისი, 1927, გვ. 22.

6 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი რვა ტომას, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950—1964.

7 ვ. თოფურია, ივ. გიგანიშვილი, სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1941, 1946, 1949 წლების გამოცემები; მათივე, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1968.

ლება იყოს. ერთ ზმნას კი არ შეიძლება სუბიექტის ორი ნიშანი ჰქონდეს. ამდენად, - ან ერთი სუფიქსი შეიძლება იყოს მხოლოდ.

ჩვენთვის საინტერესო ზმნები⁸ ორპირიანია; მათ ახასიათებს სტატიკურობა და ინვერსიულობა.

ძველ ქართულში დიდი წილი ამ ზმნებისა აწმყოს - ი სუფიქსით აწარმოებდა. კერძოდ, - ი სუფიქსიანი იყო ზმნები პ[მ]შიან (||პ[მ]შიის), სწადის (|| სწადს), უხარის, ეშინის, სწურის.

- ი სუფიქსიები პრონდა ძველ ქართულში პრეკან ზმნას, ოლონდ ის ჰრეჭა გარდამავალი სამპირიანი ზმნის ნამყო მრავალგზისის ფორმა და - ი - ც მრავალგზისობის ნიშანია.

ამავე ჯგუფის ამდენიმე ზმნა ძველ ქართულში უნიშნო იყო: სცალს, სჯობს, სწადს (|| სწადის), შეუძლავს...

პ[მ]შიის, სწურის, ეშინის... ზმნების ანალოგიურია პშვერის, სჭირის, ჰმატის, სტკივის, ჰსურის, ასხს, ეაშების, ეცინების, ენატრების და ა. შ. ზმნები. ამ რიგის ზმნებთან შეწყობილი სახელობით ბრუნვა-ში დასმული სახელი (მორფოლოგიური სუბიექტი) ზმნას ითანხმებს რიცხვში ძველ ქართულში. სახელობირ, ამ ზმნებში აწმყოში და თურმეობით პირველში - ან სუფიქსი ჩნდება, თუ მათთან შეწყობილი სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი - ნ სუფიქსით ნაწარმოებ მრავლობით რიცხვშია:

აწმყო

არ შეგმოსთ, მაგა კაბათა არ აგხდით, ტურფად გ შვენიან (ვეფხისტყაოსანი, 489).

სიცხე ჰკლავს, ყინვი დააზრობს, წყლილნი ორვერვე სტკავიან (ვეფხისტყაოსანი, 1347).

მას თანა მჯდომარეობა ტარიელს ჰშვენიან სინაზენია (ვეფხისტყაოსანი, 1549).

არცა ლაშქარნილი მე ამებიან (ვისრამიანი).

ჩემნი სისხლნი შესასუმელად ენიტრებიან (ვისრამიანი).

მალ-მალ მსურიან მისთა ყვავილთა ყნოსანი (დ. გურამ).

თურმეობითი I

შენ მიპოვნიხარ, სიტყუანი ჩემნი რაზომცა გწყენიან (ვეფხისტყაოსანი, 237).

ესე ნაქმარნი მითხრობიან მისნი (ამირანდარეგანიანი).

და ყუელასა მოსწყინებიან (ამირანდარეგანიანი).

მე დღენი შარმივლიან (რუსულანია).

8 ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში: თხზულებანი, I, თბილისი, 1957; ა. ნ. ჩაქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი, 1948; ი. ვ. ჯავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954.

ცნობილია, რომ გარდამავალი ორპირიანი და სამპირიანი ზმნები თურმეობით პირველს ორპირიან სტატიკურ ზმნათა მსგავსად იკეთებენ. ამ ზმნების თურმეობით პირველში - ან დაბოლოება ჩნდება, თუ მათთან შეწყობილი სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი - ნ სუფიქსით ნაწარმოებ მრავლობით რიცხვში დგას:

რომელნი ომნი გარდა გიქ დიან, გეყოფიან (ამირანდარეგანიანი).

მოგიც თუნებიან ეგვ ჭიაბუკნი (ამირანდარეგანიანი).

შურილნი მთანი მე დამიგადებინონ (ვისრამიანი).

აწ გძონდეს ასი საჟურჭლე, ვის შუჭნი მოგიცენიან (ვეფხისტყაოსანი, 489).

სახელობით ბრუნვაში დასმული სახელის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების ეს წესი მყარი იყო ძეელ ქართულში, შუა საუკუნეთა საერთო მწერლობის ძეგლებში კი ამ წესის რღვევა იწყება.

კერძოდ, „ვეფხისტყაოსანში“, „ვისრამიანში“, „ამირანდარეგანიანსა“ და „რუსულანიანში“ ხშირად გვხვდება ისეთი მაგალითები, რომლებშიც ზმნები - ნ სუფიქსიან მრავლობითი რიცხვის ფორმითაა, სახელი კი — მხოლოდით რიცხვშია, ანდა პირუკუ, სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი მრავლობით რიცხვშია, ზმნაში კი რიცხვის ნიშანს ევრ აჩენს.

მაგალითები:

მაგრა საქმე მის კაცისა ვერასადა შემიგნიან (ვეფხისტყაოსანი, 192).

აწ თუცა გემართებს შემოსა, ვის მორცმით მოგივლენიან (ვეფხისტყაოსანი, 489).

მე ესე დამიქადიან (იქვე, 1072).

რა ჭიანი მომითმენია (|| მომითმენია 6) (იქვე, 236).

მომწონი ეგრე შენი სიკეთე (ხაბა).

ჩემი სიტყვა კარგი ავის უარესად გესმიან (ხაბა).

კიდევ მეტიც, მოგვიანო ხანის ქართულში ინვერსიულ ორპირიან ზმნებში (ისე როგორც სხვა რიგის ზმნებში) სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარს კარგავს, სამაგიეროდ აქტიურდება მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი⁹.

უკვე XIX საუკუნის ლიტერატურულ ენაში ჩვეულებრივია ფორმები: თქვენ გშვენით, მოგწონ ის // ისინი.

⁹ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციას ძირითადი ტენიციები ქართულში: მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I; დამატება II, თბილისი, 1968.

რომ შევაჯამოთ ზემოთ თქმული, შემდეგ დასკვნებს მივიღებთ:

ძველ ქართულში გვქონდა:

ახალ ქართულში გვაქვს:

მას || მათ პ-შვენ-ი-ს იგი

მას შვენ-ი-ს ის || ისინი

მას || მათ პ-შვენ-ი-ან იგინი

მათ შვენ-ი-[ს]-თ ის || ისინი

იგი (იგინი) — აქტიურია

ის (ისინი) — პასურია

მას (მათ) — პასური

მას (მათ) — აქტიური

ჰშვენის (ჰშვენიან), ჰსურის (ჰსურიან) ზმნათა ანალოგიურია. ჩვენთვის საინტერესო ზმნებიც: სწყურია, ჰშია, სცალია, ურჩევნია და. ა. შ.¹⁰ მათვისაც ბუნებრივი უნდა ყოფილიყო სახელის მიერ ზმნის. როცხში შეთანხმების იგიენე წესი, რომელზედაც ზევით იყო საუბარი, ე. ი. -ან დაბოლოება ამ ზმნებშიც ისტორიულად სახელობით ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითი რიცხვის ნიშანი უნდა იყოს.

საანალიზო ზმნებს ორ ჯგუფად ვყოფთ. პირველ ჯგუფში ვაქტევთ ცმ ზმნებს, რომელთა -ან დაბოლოებაც მართლა სახელობით ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითი რიცხვის შესაბამისი ნიშანია ზმნაში საშუალი საუკუნეების წერილობითი ძეგლების მონაცემებითაც. „ვეფხისტყაოსანში“, „ამირანდარეჭანიანში“, „ვისრამიანსა“ და „რუსულანიანში“ გვხვდება ასეთი მაგალითები:

მე თუ შვილნი მირჩევნიან, ღმერთმა იგი დამიხოცნეს (ვეფხისტყაოსანი, 1161).

... მე არცა სულნი მირჩევნიან შენსა (ვისრამიანი).

ომნი დიდი და ფიცხელნი მგონიან (ამირანდარეჭანიანი).

სკობან ყოვლთა მოყვარულთა პატრონული მოყვარულნი (ვეფხისტყაოსანი, 1453).

რაზომ სკობან ჭაბუკა ყველასა არაბნი (ამირანდარეჭანიანი).

წარმოდგენილი ზმნის ფორმები (ურჩევნიან, ჰგონიან, სჯობიან, მას იგინი) ცხადყოფს, რომ XIX საუკუნემდე (ჩათვლით) და დღევანდელ დიალექტებში გავრცელებული ურჩევნიან, ჰგონიან, სჯობიან მას იგი აღრე გულისხმობდა სახელობით ბრუნვაში დასმულ სახელს მრავლობით რიცხვში.

ასევე, ძველ ქართულში ბუნებრივი იყო გავიხარენ მე იგინი. ამ ზმნის შესაბამისი თურმეობითი პირველის ფორმაა მე გამიხარიან, შენ გაგიხარიან იგინი. სწორედ ეს უკანასკნელი ფორმა უნდა იყოს ამოსავალი XIX საუკუნის ლიტერატურულ ენასა და დღევანდელ ქართლურ-კახურში გავრცელებული სიტყვის მასალისათვის, როგორიცაა გაგიხარიან.

10 ჰქვია ზმნის გამოკლებით.

გამიხარიან, გაგიხარიან, გაუხარიან თურმეობითი პირველის ფორმებია, მათშე დაყრდნობით შეიძლება აღვადგინოთ შესაბამისი პირველი სერიის სტატიკური ზმნის აწყო.

გა-უხარი-ან მას იგინი — თურმეობითი I გარდამავალი ზმნისა, უხარი-ან მას იგინი — სტატიკური ზმნის აწყო.

ცხადია, ამ ფორმებშიც (გაუხარი-ან, უხარი-ან) -ან ისტორიულად სახელობით ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითობის ნიშანი იყო ზმნაში.

საშუალი საუკუნეების ქართულში გვხვდება მწადს ზმნის თურმეობითის ფორმა: მწადებიან, გწადებიან...

არა მწადებიან სათავისოდ ეგზომნი ფათერაკნი (ვისრამიანი).

ამ ფორმაზე (მე მწადებიან იგინი) დაყრდნობით შეიძლება ვიგარაულოთ, რომ ს-წადი-ან ზმნაშიც -ან სუფიქსი სახელობით ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითი რიცხვის შესაბამისი ნიშანია.

ამავე ჯგუფში უნდა მოვაქტიროთ ჰქვიან ზმნაც. ამ ზმნის ისტორია ნათელია. ძველ ქართულში გვქონდა ჰქვიან მათ მას იგი: რომელსა იგი ბერძენთა ჰრქვიან პრასინოს (თუალთ., 281)¹¹.

შემდეგ ამ ზმნამ დაყარგა სუბიექტის პირი (მათ) და მიღლო სტატიკური შინაარსი: ჰქვიან მათ მას იგი → ჰქვიან მას იგი, სუბიექტის ნიშანი -ან კი ზმნას ტრადიციით შემორჩა.

ამრიგად, ფაქტია, რომ ურჩევნიან, ჰგონიან, ხჯობიან, უხარიან, სწადიან და ჰქვიან ზმნებისთვისაც ძველ და შემდევდროინდელ ქართულშიც კი დაცული იყო სახელობითში დასმული სახელის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების ძველი წესა. ამ ზმნებთანაც ძველ ქართულში აქტიური იყო სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი, ახალში კი პასიური გახდა; ხოლო პასიური იყო მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი და გააქტიურდა.

მართლაც, დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ნორმაა: მათ ურჩევნიათ, სწადიათ, უხარიათ და ა. შ.

მაშასადამე, აქაც იგრვე ვითარებაა, რაც ჰშვენის, ჰსურის ზმნებთან.

ძველ ქართულში იყო:

მას || მათ ურჩევნი-ს იგი
მას || მათ ურჩევნი-ან იგინი
აქტიურია — იგი (იგინი)
პასიურია — მას (მათ)

ახალ ქართულში არის:

მას || ურჩევნი-ა ის || ისინი
მათ ურჩევნი-ა-თ ის || ისინი
აქტიურია — მას (მათ)
პასიურია — ის (ისინი)

11 მაგალითი ამოღებულია ი. ჭავთარაძის ნაშრომიდან: ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954.

-ან სუფიქსი ამ ზმნებშიც ისტორიულად სახელობით ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითი რიცხვის ნიშანია.

ამასვე ვერ ვიტყვით მეორე ჯგუფის ზმნებზე: პშია, სწყურია, ეშინია, სცალია, პრცხვენია, (შეუძლია).

ძევლი და საშუალი საუკუნეების სალიტერატურო ენაში არ დასტურდება არც ერთი ისეთი მაგალითი, რომ ამ ზმნების ფორმით ნაურაუდევი ფაზი ან იგინი წინადაღებაში წარმოდგენილი ყოფილიყო. ამდენად ამ ზმნებთან -ან დაბოლოება არ შეესაბამება ზმნის შინაარსს.

მაინც უდავოა, რომ პშიან, სწყურიან, სცალიან... და ურჩევნიან, ჟგობიან, პშვენიან, პსურიან ზმნები ფორმით იდენტურია.

ისიც ცხადია, თუ ოდესმე ეს ზმნები სახელობით ბრუნვაში დასმულ სახელს მრავლობით რიცხვში შეიწყობდა, მათ -ან დაბოლოებაც უნდა პქონოდათ: სწყურის, სწადს... ტიპის ზმნებს მრავლობითში მხოლოდ -ან სუფიქსი 'შეიძლება' პქონოდათ.

უნდა დავუშვათ, რომ ამ მეორე ჯგუფის ზმნებშიც (ისე როგორც პშვენიან და ურჩევნიან ტიპის ზმნებში) -ან სახელობით ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითი რიცხვის ნიშანი უნდა ყოფილიყო ისტორიულად, ე. ი. ქართულში ოდესლაც უნდა გვქონოდა ასეთი დაპირისპირება:

მას (მათ) სწყურის იგი

მას (მათ) სწყურიან იგინი

XIX საუკუნიდან მოყოლებული ლიტერატურული ენისათვის ბუნებრივია:

მას სწყურიან || სწყურია ის (ისინი)

მათ სწყურიათ || სწყურიათ ის (ისინი)

რადგან ძევლი ქართულის უდავო ფორმები:

მას || მათ პშვენის იგი მას || მათ ურჩევნის იგი

მას || მათ პშვენიან იგინი მას || მათ ურჩევნიან იგინი

და ჩვენ მიერ დაშვებული ფორმები:

მას || მათ სწყურის იგი

მას || მათ *სწყურიან იგინი

ახალ ქართულში ერთგვარ შედეგს გვაძლევს:

მას პშვენის ის || ისინი მას ურჩევნია ის || ისინი

მათ პშვენის [ს]თ ის || ისინი მათ ურჩევნიათ ის || ისინი

და მას სწყურია ის || *ისინი მას შია ის || *ისინი

მათ სწყურიათ ის || *ისინი მათ შიათ ის || *ისინი

უდავოა, ოდესლაც ქართულში გვქონდა ასეთი დაპირისპირება:

მას || მათ პეტშიის იგი და მას || მათ პეტშიან იგინი

მას || მათ სწყურის იგი და მას || მათ სწყურიან იგინი...

ე. ი. დღევანდელ ჰშიან, სწყურიან, ეშინიან, პრცხვენიან... ზმნებ-შიც -ან ისტორიულად მრავლობითი რიცხვის ნიშანია.

მაშასადამე, ჩვენთვის საინტერესო ზმნების

I ჯგუფი
ურჩევნის — ურჩევნიან
სჯობს — სჯობიან
ჰეონის — ჰეონიან
სწადის — სწადიან
უხარიას — უხარიან
გაუხარიეს — გაუხარიან
(პრქვის — პრქვან)

II ჯგუფი
სწყურის — *სწყურიან
პ[მ]შიის — *პ[მ]შიან
პრცხუენის — *პრცხუენიან
სცალს — *სცალიან

წყვილები ერთიმეორის მიმართ მხოლობით-მრავლობითია ისტორიულად და -ან წყვილის მეორე ნაწილში სახელობით ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითი რიცხვის შესაბამისი ნიშანია.

როგორც ზევით ვნახეთ, საშუალი საუკუნეების ლიტერატურულ ენაში ხშირად, ხოლო XIX საუკუნის ლიტერატურულ ენასა და დღევანდელ აღმოსავლურ დიალექტებში კი ყოველთვის ამ წყვილების მეორე ცალი (მრ. რიცხვის ფორმა) იხმარება წყვილის პირველი ცალის მაგივრად მხოლობითი რიცხვის გაგებით. დღევანდელ დიალექტებში გვაქვს: მას იგი ურჩევნიან, სჯობიან, ჰეონიან, სწადიან, უხარიან, ჰქვიან, ჰშიან, სწყურიან...

როგორც გაირკვა, ამ ფორმათა უმეტესობა მრავლობითის გაგება-საც შეიცავდა თვით საშუალი საუკუნეების ქართულშიც კი: მას იგინაურჩევნიან, სჯობიან, ჰეონიან...

სხვა საკითხია, რატომ გამოიყენა ენამ მრავლობითი რიცხვის ფორმები მხოლობითი რიცხვისათვის.

როგორც ცნობილია, X—XII საუკუნეებიდან სტატიკურ ზმნებში (შესაბამისად, გარდამავალ ზმნათა თურმეობითი პირველის ფორმებში) -იეს დაბოლოება -ია-თი შეიცვალა: სწერიეს, დაუწერიეს ფორმები სწერია, დაუწერია ფორმებმა შეცვალა.

ენაში თავს იჩენს ტენდენცია, ჩვენთვის საინტერესო ორპირია სტატიკურ ზმნათა ტენდენცია, სხვადასხვადაბოლოებიანი ფორმებიც ახალ ყალიბში მოექცეს.

სწორედ, სწერია, ჰკილია ზმნათა -ია დაბოლოების გავლენით ჩვენთვის საინტერესო ზმნათა მრავლობითი რიცხვის -იან დაბოლოებიანი ფორმები, შინაარსისგან თითქმის დაცლილი, გვერდში უდგება სწერია, ჰკილია ტიპის ზმნებს და კისრულობს მხოლობითი რიცხვის ფუნქციას.

ამრიგად, საშუალი საუკუნეებიდან შოთარლებული ჰ[მ]შიის — ჰ[მ]შიან, სწადის — სწადიან... ფორმებს შორის ისეთივე დაპირისპირებაა, როგორც სწერის — სწერია და დაუწერის — დაუწერია ფორმათა შორის, ე. ი. ჰ[მ]შიის — ჰ[მ]შიან, სწადის — სწადიან... ერთი და იმავე ზმნის მხოლოდით-მრავლობითი ფორმები კი აღარაა, არამედ სტატიკური ზმნის მხოლოდითი რიცხვის ძველი და ახალი ფორმებია.

ამით იცხსნება ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსანში“, „ვისრამიანში“, „ამირანდარეჯანიანში“, „რუსულანანში“, დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის ნაწერებში არც ისე იშვიათად წარმოდგენილ ტერმინებს სწადს, სცალს, უხარის, ეშინის, რცხვენის... გვერდში უდაგს სწადიან, სცალიან, უხარიან, ეშინიან, რცხვენიან... ფორმები, თანაც ორივე ფორმას ერთგვარი, მხოლოდითის გაგება იქვს.

რადგან XIX საუკუნის ლიტერატურულ ენაში ნარიანი ფორმები ვაბატონდა, ე. ი. ძველი ქართულის სწადს, სცალს, სწყურის, ურჩევნის... ფორმათა აღგილი XIX საუკუნის ლიტერატურულ ენაში მთლიანად დაიკავა სწადიან, სცალიან, ურჩევნიან, სწყურიან... ფორმებმა, ამ ზმნათა -იან დაბოლოება ფუნქციურად მთლიანად გაუტოლდა სწერია, ჰყიდია ზმნათა -ია დაბოლოებას. ამის შემდეგ სწყურიან, ჰშიან, ურჩევნიან... ზმნათა -ნ დაბოლოება ზედმეტ ელემენტად იქნა აღქმული და დაიკარგა კიდეც მომდევნო XX საუკუნის ლიტერატურულ ენაში.

ანალოგიურ დასკვნამდე მივალთ, თუ გავითვალისწინებთ ჰრქვან ზმნის ისტორიას. სწერია, ჰყიდია ტიპის ზმნათა გავლენით წარმომავლობით გარდამავალი სამპირიანი ზმნის -იან დაბოლოება (ჰრქუ-ი-ან ზმნაში -ან სუბიექტის მესამე პირის ნიშანია ისტორიულად) ყერ გაუთანაბრდა სტატიკურ ზმნათა -ია დაბოლოებას, შემდეგ კი მათივე გავლენით დაკარგა -ნ ელემენტიც.

დასკვნა

1. ქართულში არსებობდა ჰშია, სწყურია, ურჩევნია... ტიპის ზმნათა ამგვარი დაპირისპირება რიცხვის მიხედვით:

ჰ[მ]შიის მას იგი	სწყურის მას იგი
------------------	-----------------

* ჰ[მ]შიან მას იგინი	* სწყურიან მას იგინი
----------------------	----------------------

ურჩევნის მას იგი	სჭობს მას იგი
------------------	---------------

ურჩევნიან მას იგინი	სჭობიან (სჭობან) მას იგინი
---------------------	----------------------------

2. ეს დაპირისპირება თანდათან ქრებოდა უძველესი ხანიდან XIX საუკუნემდე: სწყურის — სწყურიან, ჰ[მ]შიის — ჰ[მ]შიან... ფორმათა შორის რიცხვის მიხედვით დაპირისპირება ისპობოდა ძველსავე ქარ-

თულში (იხ. მეორე ჯგუფის ზმნები), ურჩევნის — ურჩევნიან, სჭობს — სჭობიან... ფორმათა შორის დაბირისპირება XIX საუკუნემდე არსებობდა (იხ. პირველი ჯგუფის ზმნები).

3. ამავე ღროს პშია, სწყურია, ურჩევნია ტიპის ზმნათა -იან დაბოლოებიანი ფორმები იძენდა ახალ შინაარსს: სწერია, ჰყოდია ტიპის. სტატიკურ ზმნათა -ია დაბოლოების ფავლენით სწყურიან, პშიან, ურჩევნიან... ფორმები კისრულობს პ[მ]შიის, სწყურის, ურჩევნის... მხოლობითი რიცხვის ფორმათა ფუნქციას. X—XII საუკუნეებიდან მოყოლებული XIX საუკუნემდე პ[მ]შიის — პ[მ]შიან, სწყურის — სწყურია... ფორმათა შორის ისეთივე მიმართებაა, როგორც სწერიეს — სწერია, დაუწერიეს — დაუწერია ფორმათა შორის.

4. რაღაც XIX საუკუნის ლიტერატურულ ენაში პ[მ]შიის, სწყურის, ურჩევნის.... ძველი ფორმები აღარ იხმარება და მათ ფუნქციას. მთლიანად კისრულობს პშიან, სწყურიან, ურჩევნიან... ფორმები, ამიტომ პშიან, სწყურიან, ურჩევნიან... ზმნათა -იან დაბოლოება ფუნქციურად უტილდება სწერია, ჰყიდია ტიპის ზმნათა -ია დაბოლოებას.

5. -იან და -ია დაბოლოებების იდენტურობამ განაპირობა ის, რომ -ნ აქ ზედმეტ ელემენტად იქნა აღქმული და დაიკარგა ჭრილი სალიტერატურო ქართულში მომდევნო X X საუკუნეში.

6. ჰქვიან ზმნის ისტორიის გათვალისწინებაც ამ დასკვნებს უდავოს ხდის..